

1. ხედვა: *რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?*

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დგას, არის ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების გაყვანა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და წინა რეჟიმებისგან მემკვიდრეობით დატოვებული მართვის ბოლშევიკური სისტემის დემონტაჟი. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია ქართული საზოგადოების საერთო ეროვნული თანხმობა, რომლის საფუძველი უნდა გახდეს იმის აღიარება, რომ საქართველო არის ერთიანი, განუყოფელი და სეკულარული სახელმწიფო, სადაც კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე განმტკიცებულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ადგილი, ფუნქცია და, იმავდროულად, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება; რომ უპირობო და შეუვალია საქართველოს სახელმწიფოს უფლება, განახორციელოს საკუთარი იურისდიქცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ჩათვლით. ამასთან, ქართველი ერის შეუვალი ნებაა, აღადგინოს მოყვრული ურთიერთობა აფხაზ ხალხთან და გააჩნია კონკრეტული იურიდიული სქემა ამ ნების რეალიზაციისა; რომ ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთხელ „ოსეთის“ შექმნა დაუშვებელია. „სამხრეთ ოსეთი“ არის რუსი დამპყრობლების მოგონილი სახელი და მათივე შექმნილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, რომლის არსებობას არც ისტორიული, არც იურიდიული, არც ეკონომიკური, არც კულტურული და არც მორალური საფუძველი არ ჰქონდა და არ აქვს. ოსი ეროვნების მოსახლეობის სპეციფიკურ ინტერესთა რეალიზაციის ოპტიმალურ ორგანიზაციულ ვარიანტად კი ფუნქციური ავტონომია უნდა იქნეს აღიარებული; რომ საქართველოში ერთადერთი ეთნიკური უმცირესობა არის აფხაზი ხალხი, ხოლო ყველა სხვა ეთნოსი - დიასპორა. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეების მიმართ უნდა იყოს ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე; რომ დაუშვებელია ქართულ-აფხაზურ-ოსური „კონფედერაციის“ ანუ ნებაყოფლობით ხელშეკრულებაზე დამყარებული, სამართლებრივად იოლად დაშლადი გაერთიანების შექმნა.

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

განათლება რომ უმნიშვნელოვანესი სფეროა საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში, საყოველთაოდ აღიარებულია და ჩემგან დასტურს არ საჭიროებს. ისიც ცნობილია, რომ წარსულში წარმოდგენილი ყველა, მეტ-ნაკლებად წარმატებული რეფორმა განათლების სფეროში, ყოველთვის მაქსიმალურად იყო ორიენტირებული სახელმწიფოს წინაშე არსებული მიმდინარე თუ პერსპექტიული ამოცანების გადაჭრაზე. ასეთი გახლდათ ბისმარკის პერიოდის ცნობილი გერმანული განათლების სისტემის რეფორმა, ე.წ. ლუნაჩარსკის საბჭოთა განათლების რეფორმა, რომელმაც წარმატებულად იმუშავა ათწლეულების მანძილზე, ასევე, ფინური რეფორმა და სხვა. განათლების დარგისთვის

დამახასიათებელი უპირველესი ნიშანი ის გახლავთ, რომ იგი პერმანენტულად და ადეკვატურად რეაგირებს ყველა იმ ნოვაციურ ცვლილებაზე, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოში. გარდა ამისა, პრაქტიკაში ცნობილია განათლების ისეთი რეფორმებიც, რომლებიც ბრმად, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე ინერგებოდა სხვადასხვა ქვეყანაში და, სამწუხაროდ, ამგვარი რამ განხორციელდა საქართველოშიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. სწორედ ზემოთ მითითებულის არ თუ ვერ გათვალისწინებამ მიიყვანა ქართული განათლების სისტემა ღრმა კრიზისამდე. ამავდროულად, უაღრესად მნიშვნელოვანია პოზიტიური პრაქტიკის გამოყენება და ასეთად მიმაჩნია ფინური განათლების სისტემა, რომლის პოსტულატია ეროვნული და სამოქალაქო ღირსება, სახელმწიფო კი უმაღლესი ფასეულობითი კატეგორიაა. ამ სისტემას მაღალრეზონანსული შეფასება აქვს საერთაშორისო ექპერტთა წრეში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი რეფორმა და, მით უმეტეს, სისტემური, რომელიც რადიკალურ ცვლილებებს ითვალისწინებს, მტკივნეულად მიმდინარეობს. მსგავს ვითარებაში დღის წესრიგში უპირობოდ დგება საკითხი რეფორმების იდეოლოგიური და საინფორმაციო უზრუნველყოფის შესახებ, რასაც ადგილი არ ჰქონია საქართველოში ამ ბოლო ოცწლეულში. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რისთვის არის აუცილებელი რეფორმა და რა შედეგზეა ის ორიენტირებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება საზოგადოება ამა თუ იმ რეფორმის სრულყოფასთან თანამონაწილე და მხოლოდ ამას შეუძლია უზრუნველყოს რეფორმის წარმატებული შედეგი. სწორედ ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებდი განათლების რეფორმის პროცესში. რაც შეეხება საკითხს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, მას საფუძვლად ისევ და ისევ სისტემური მიდგომა დასჭირდება.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

როგორც ცნობილია, 2005 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და 21 სახეობის გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6, თუმცა არსობრივად სისტემას არ განუცდია რაიმე სახის ცვლილება, იგი დარჩა ისეთივე პარამეტრებით, როგორიც იყო. მიმაჩნია, რომ, არსებული სისტემის ნაცვლად, უნდა დაინერგოს დიფერენცირებული საგადასახადო სისტემა, რომელმაც საგადასახადო სივრცე უფრო დინამიკური უნდა გახადოს. აღნიშნული სისტემის პოზიტიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ აყალიბებს დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ ნაწარმთან მიმართებაში. მაგალითად, შეძლებს, დააწესოს შედარებით დაბალი საგადასახადო ნიხრი ისეთ აქტუალურ პროდუქციაზე, როგორცაა ბავშვთა კვება და სათამაშოები, დიაბეტური პროდუქტები და სხვა, ხოლო ფუფუნების საგნებზე გაზარდოს საგადასახადო ნიხრი. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადის პრინციპებს, ამჟამად არსებული პროპორციულის ნაცვლად, როცა ყველა იხდის თანაბრად, გადავიდეთ პროგრესულ საშემოსავლო სისტემაზე - რაც მეტია შემოსავალი, მით მეტია საგადასახადო ნიხრი.

4. ეკონომიკა: როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

იმდენად, რამდენადაც საქართველოს არ გააჩნია ტექნოკრატიული განვითარების სრულყოფილი რესურსი და, შესაბამისად, პერსპექტივა, ეკონომიკაში პრიორიტეტულად უნდა გამოცხადდეს სოფლის მეურნეობა. მის მიმართ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს პროტექციონისტული პოლიტიკა, ხოლო ამ პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი უნდა გახდეს როგორც მცირე საპროცენტო განაკვეთიანი საშუალო და გრძელვადიანი სესხები, ასევე, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისგან მუდმივი მეთოდური დახმარება. საჭიროა, აგრეთვე, ადგილობრივი სტრუქტურების რეალური მხარდაჭერა გლეხური კოოპერაციული მეურნეობების შექმნაში იქ, სადაც მცირემიწიანობაა. დახმარება დასჭირდება ფერმერულ მეურნეობებსაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მოცულობა ამის შესაძლებლობას იძლევა; უპირობოდ უნდა წახალისდეს სოფლის ნობათის გადამამუშავებელი მაღალტექნოლოგიური მცირე საწარმოების შექმნა, რაც სოფლად დასაქმების პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის შესთავაზებელ კონკრეტულ ინიციატივებს, უპირატესობას მივანიჭებდი მსოფლიო ბრენდი-საწარმოების ფილიალების შექმნას საქართველოში. მათ დაფუძნებასა და რენტაბელურ საქმიანობაზე საწყის ეტაპზე წილობრივ პასუხისმგებლობას აიღებდა სახელმწიფო, ხოლო შემდგომ განახორციელებდა საკუთარი წილის გასხვისებას დაინტერესებულ პირებსა თუ საწარმოებზე ფასიანი ქაღალდების მეშვეობით. ამ შეთავაზებას ის პოზიტიური დატვირთვა გააჩნია, რომ, ერთი მხრივ, აამაღლებს ეკონომიკაში საწარმოო ბიზნესის ხვედრით წილს, რაც მდგრად სამუშაო ადგილებს უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს სახელმწიფოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის აღმოცენება-განვითარებას, რაც საყოველთაოდ აღიარებულია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს სტიმულატორად.

5. დასაქმება: თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

მიზეზ-შედეგობრივ კავშირში უმუშევრობა შედეგია, ამიტომ ამ პრობლემის დაძლევის გზები მის გამომწვევ მიზეზებში უნდა ვეძიოთ, ხოლო მიზეზთა ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ იძულებული ვარ მათგან რამდენიმე და არსებითი გამოვყო. საბჭოთა კავშირის დაშლამ მთლიანად მოშალა საბჭოთა ეკონომიკური ინსტიტუცია, ხოლო ეკონომიკის გადასვლა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა რელსებზე სტიქიურად განხორციელდა, სრულად მოიშალა ეკონომიკური ერთიანობის საბჭოთა კოოპერაციული სისტემა, რამაც კოლაფსურ მდგომარეობაში მოაქცია საქართველოს სამრეწველო ერთეულთა უდიდესი უმრავლესობა და გამოიწვია უმუშევართა არმიის წარმოშობა, დაიწყო და დღესაც გრძელდება კადრების დეკვალიფიკაციისა და დეპროფესიონალიზაციის პროცესი. უმუშევრობა უშუალოდ არის მიბმული ეკონომიკურ გარემოზე, ხოლო ამჟამინდელი გარემო საგანგაშოა. სამწუხაროდ, ზემოთ მითითებული ისტორიული ცვლილებების შემდგომ ოცწლეულში არც ერთმა

ქართულმა ხელისუფლებამ არ თუ ვერ დადო ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი, რომლის გარეშე ვერც ეკონომიკა განვითარდება და ვერც მასზე მიბმული უმუშევრობის პრობლემა დარეგულირდება, არამედ უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენელთა საუბრები უმუშევრობის თაობაზე, უკეთეს შემთხვევაში, დეკლარაციული განცხადებები და კეთილი სურვილები იყო, ხოლო დასაქმების მოკლევადიანი და ეპიზოდური აქციები პრობლემის გადაწყვეტის კვაზი-ღონისძიებებსა თუ პიარ-სპექტაკლებს წარმოადგენდა. შესაბამისად, უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფომ გადაჭრით უნდა თქვას უარი ახლო წარსულის მავნე პრაქტიკაზე, დადოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი, სადაც პრიორიტეტად განსაზღვრული იქნება საწარმოო ბიზნესის მაქსიმალური მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს მოთხოვნას კვალიფიციურ სპეციალისტებზე და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალღდეს მისი ხარისხი?*

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ვერც ერთმა ქვეყანამ მსოფლიოში ვერ უზრუნველყო ჯანდაცვის ყოვლისმომცველი ხელმისაწვდომობა, თუმცა მათ შორის არიან ისეთი ქვეყნები, სადაც, ეს საკითხი, ძირითადად, დარეგულირებულია. სწორედ მათი გამოცდილებითა და პოზიტიური პრაქტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენც. ამ მოწინავე ქვეყნებში ჯანდაცვა განიხილება არა მხოლოდ როგორც სოციალური სერვისის სფერო, არამედ სახელმწიფოს ღირსების საკითხი. სწორედ ამგვარი მიდგომა არ გაგვაჩნია საქართველოში და, უპირველეს ყოვლისა, ამისთვის უნდა გავისარჯოთ. ჯანდაცვა სისტემური სფეროა და მისი მეტ-ნაკლებად წარმატებული საქმიანობა სისტემაში გაერთიანებული სეგმენტებისა და, უპირველეს ყოვლისა, სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის მაღალი ხარისხით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ხოლო ეს ხარისხი მიიღწევა სადაზღვევო მომსახურებაში მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის მონაწილეობით, სადაც განსაკუთრებული აქტუალობით საშუალო ფენა უნდა გამოირჩეოდეს. ამ დარგში მუშაობა უნდა წარმართოთ დევიზით - პატივი ეცი ქვეყნის მოქალაქეს და იგი ჯანსაღი განცდებით ჩადგება სახელმწიფოს სამსახურში.

7. სოციალური უსაფრთხოება: *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის სამი ძირითადი პირობაა საჭირო: პირველი - შეუქმნა მოქალაქეს ცხოვრების თუ თვითკმარი გარემო, რაც უზრუნველყოფს მის მორალურ-ზნეობრივ მდგრადობას, მეორე - სახელმწიფოს მუდმივად ედოს ხელი მისი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელ პულსზე და მესამე - მკვეთრად ამალღდეს ჩვენი მოსახლეობის მოქალაქეობრივი ღირსების განცდის ხარისხი;

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში უნდა მოეწყოს იმ პრინციპების საფუძველზე და იმ დებულებათა გათვალისწინებით, რაც მოცემულია ევროპულ ქარტიამი თვითმმართველობის შესახებ, რომელსაც საქართველო 2004 წელს შეუერთდა. აქ მნიშვნელოვანია, დავეყრდნოთ ორ უაღრესად არსობრივ პრინციპს: პირველია ის, რომ თვითმმართველობაზე დელეგირებული ფუნქციები უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო შემოსავლებით და მეორე, სოფელს უნდა ხელმძღვანელობდეს მის მიერ არჩეული მმართველი და არა ის, რომელსაც ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ პრაქტიკაში.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

სახელმწიფოს გააჩნია უპირობო უფლება, განავრცოს საკუთარი იურისდიქცია საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების არეალში, რასაც ჩემი ქვეყანა მოკლებულია აგრესორის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის გამო. ამდენად, დარღვეულია სახელმწიფოს უპირველესი უფლება, განახორციელოს საკუთარი ტერიტორიის კონსტიტუციური კონტროლი. საერთაშორისო ორგანიზაციები მკაცრად აკონტროლებენ ვითარებას ჩემს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რაც უაღრესად მოსასალმებელია, მაგრამ რატომღაც არ აქტიურობენ აგრესორი მოძალადის, რუსეთის ფედერაციის მიერ ჩემი სახელმწიფოს უხეშად აყრილი უფლების დასაცავად. იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა სრულუფლებიანი წევრიც საქართველოა, საკუთარ წესდებებში აღიარებული აქვთ წევრი სახელმწიფოების უფლებათა დაცვა, ოკუპანტი რუსეთის აგრესია აზარალებს არა მხოლოდ ქართულ სახელმწიფოებრიობას, არამედ უხეშად უპირისპირდება ამ სოლიდური ორგანიზაციების ავტორიტეტს და მათ საერთაშორისო ღირსებას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოუდგენელია საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის გარეშე, ამიტომ უპირველეს ღონისძიებათა რიგში დავაყენებ თანამშრომლობას აღნიშნულ ორგანიზაციებთან ჩვენთვის და ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელი კონკრეტული საკითხების ირგვლივ. აუცილებლად მიმაჩნია თანამშრომლობა რუსეთის პოლიტიკურ ოპოზიციასთან საქართველოს დეოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო, რათა მოვიპოვოთ მათგან მეტ-ნაკლები მხარდაჭერა და, რაც მთავარია, უნდა მოვახდინოთ ქართული სამოქალაქო ერთობის კონსოლიდაცია ძირითადი იდეის - საქართველოს დეოკუპაციის ირგვლივ. რაც შეეხება ხალხთა შორის ნდობის აღდგენას, აუცილებლად მიმაჩნია დიალოგის წარმოება პერმანენტულ რეჟიმში სახელმწიფოსა და მისგან გაუცხოებულ მოქალაქეთა შორის, ამ დიალოგში არასამთავრობო სექტორის ჩართვა, აღნიშნულ პროცესში სახალხო დიპლომატიის რესურსის სრული გამოყენება და უმთავრესი - ამ დიალოგს არ სჭირდება არანაირი შუამავალი, მით უმეტეს ისეთი, როგორც რუსეთის ფედერაციაა.

10. უმცირესობათა უფლებები: *რას ვფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

მოცემულ შეკითხვას რამდენიმე შემადგენელი გააჩნია - საზოგადოდ უფლება, ამ უფლების რეალიზაცია და საკითხისადმი კონცეპტუალური მიდგომის არგუმენტაცია. სექსუალურ უმცირესობათა უფლება, განახორციელონ საკუთარი არჩევნის თანაფარდი ქმედებები, რეგლამენტირებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტით „სექსუალურ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციით“, რომელიც არავის აძლევს უფლებას უხეშად ჩაერიოს ზემოთ მითითებულ არჩევანში და რაც, ჩემი აზრით, იმასაც ითვალისწინებს, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა სხვადასხვა ფორმით არ მოითხოვონ ე.წ. სექსუალური უმრავლესობისგან მათი არჩევნის უპირობოდ აღიარება. ეს დებულება დათქმის სახით ცალსახადაა დაფიქსირებული ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო აქტში. ვფიქრობ, სახელმწიფომ განსხვავებულ ინტერესთა დაბალანსებაში უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. სხვა მხრივ, მისი აქტიურობა ვერ იქნება გამართლებული, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხს, იგი ნებისმიერი ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. მოცემული საკითხისადმი ჩემი, როგორც კონკრეტული მოქალაქის კონცეპტუალური მიდგომის ძირითადი არგუმენტის საფუძველია უპირობო აღიარება იმისა, რომ სამყაროს განვითარების თუ მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პირველწყარო, ევოლუციური სვლაგეზი და დიალექტიკურ კანონზომიერებათა დინამიკაა, რაც მეცნიერული თვალსაზრისით უპირობოდ ეყრდნობა მდედრისა და მამრის ურთიერთობას არა მხოლოდ სამყაროს ბიოლოგიურ, ორგანულ სეგმენტში, არამედ, როგორც ამას თანამედროვე მეცნიერებაც ამტკიცებს, თვით არაორგანულ ნაწილშიც კი და, როდესაც ადამიანი ევოლუციური განვითარების მყარ საფუძველს უპირისპირდება, იგი მისი (ადამიანის) არსებობის პერსპექტივასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. გულახდილად ვაღიარებ, რომ არ მსურს კაცობრიობა ისეთი არჩევნის წინაშე დადგეს, როდესაც სასწორის ერთ პინაზე მისი უფლება დაიდება, ხოლო მეორეზე თვით მისი არსებობის საკითხი სამყაროში.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

მიმაჩნია, რომ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ხვედრითი წილი პოზიტიურ ნიშნულს უახლოვდება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას მივაპყრობ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთა სიას, სადაც სამი ქალბატონია, მათ შორის კი ისეთი პოლიტიკური ფიგურა, როგორც ნინო ბურჯანაძე (სხვა საკითხია, რამდენად ვიზიარებ მე თუ მავანი მის მოსაზრებებს); საქართველოს პარლამენტშიც აქტიურობით და შესაძლოა, მომეტებული აქტიურობითაც პარლამენტარი ქალბატონები გამოირჩევიან; არასამთავრობო ორგანიზაციებში წამყვანი პოზიციები სწორედ ე.წ. სუსტი სქესის

წარმადგენლებს უჭირავთ და ეს სექტორი ბოლო პერიოდში ქართული პოლიტიკის აქტორთა ძირითად სამჭედლოდ იქცა. ასე რომ, მასტიმულირებელი ხასიათის ინიციატივების საჭიროებას ნამდვილად ვერ ვხედავ, მთავარია, არ დავუპირისპირდეთ პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის პროცესს.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისთვის?*

პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ჩემი შეუვალი რწმენით, საქართველოში ერთადერთი ეროვნული უმცირესობა აფხაზი („აფსუა“) ეთნოსია, დანარჩენი არაქართული მოსახლეობა ეთნიკურ დიასპორებს წარმოადგენს და ეს მოსაზრება არანაირი ნიშნით არ უპირისპირდება საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ დეფინიციებს. სამწუხაროდ, აფხაზი ეთნიკური საზოგადოება გარეშე იმპერიული ძალების მეცადინეობით ჩამოშორებულია მისი პერსპექტიული განვითარების ორგანულ არეალს, ზოგად ქართულ ერთობას, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოების ურყევი ნება, აღვადგინოთ ძმური, მოყვრული ურთიერთობა აფხაზ ხალხთან, პოზიტიურ შედეგს გამოიღებს და ერთობლივად ავამუშავებთ მოძმე ხალხის ეროვნული გადარჩენის ბერკეტებს. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეების მიმართ უნდა იყოს ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე და ამ ურთიერთობების რაგვარობისა და მიმართულების განსაზღვრაში ჩვენი სახელმწიფო არ საჭიროებს გარედან ჩარევას, მით უფრო, რუსეთის ფედერაციისგან. მთავარია იმ აუცილებლობის აღიარება, რომ ქართული სამოქალაქო ერთობის თითოეული ეთნიკური სეგმენტი აქტიურად და ეფექტურად იყოს ჩართული ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.*

თუკი ამჟამად მსოფლიოში პრიორიტეტული საკითხებიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემების შექმნაა წინწამოწეული, ახლო მომავალში უპირველეს საკითხად გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვევლინება და იგი არა კონკრეტული თემატიკური, არამედ უპირველესი პოლიტიკური პრობლემის სახით დაიმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. იმ გამოწვევათა შორის, რომელიც ჩვენს საერთო სამყოფელს - დედამიწას მასშტაბური კატაკლიზმებით ემუქრება, არის ტექნოგენური განვითარების შედეგად გამოწვეული კლიმატური ცვლილებები: გლობალური დათბობა, ეკოლოგიური ბალანსის რღვევა და მრავალი სხვა. დადგა დრო, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობა ერთიანი ძალისხმევით უნდა შეეჭიდოს ურთულეს პრობლემათა დაძლევა, რათა უზრუნველყოს სამყაროს ჰარმონიული განვითარება მომავლის ჭრილში. ამისათვის კი აუცილებელია

გარემოსდაცვითი განათლების ხარისხის მკვეთრი ამაღლება, რომლის ძირითადი მიზანია, გააგებინოს ადამიანებს, რომ ბუნება კომპლექსურია და ხელოვნურმა გარემომ ნაკლებად უნდა დაარღვიოს ის. ამ სფეროში შეძენილი ცოდნა, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გადაფასება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები დაეხმარება მათ, რომ პასუხისმგებლობით და ეფექტურად შეიტანონ წვლილი გარემოსდაცვითი პრობლემების შეფასების, გადაჭრისა და გარემოს ხარისხის მართვის საკითხებში. ამასთანავე, გარემოსდაცვითმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთპასუხისმგებლობისა და სოლიდარობის განცდის განვითარებას, რაც საფუძველს ჩაუყრის ახალ საერთაშორისო წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, გარემოს კონსერვაციას, მეორე მხრივ, კი მის გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით, გამაჩნია წინადადება, რომლის აქტუალობა ჩემში ეჭვს არ იწვევს - ყველგან და, პირველ ყოვლისა, საქართველოს განათლების სისტემაში გარემოს დაცვა აღიარებულ იქნას სასწავლო დისციპლინად და გარემოსდაცვითი განათლების სწავლება დაინერგოს ყველა დონის სასწავლო დაწესებულებაში;

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებას ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში, რომლის დებულებების ძირითად ნაწილს სავსებით ვიზიარებ, აღნიშნული საკითხი ცალსახადაა დაფიქსირებული. ჩვენი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების უალტერნატივო მიმართულებად ევროატლანტიკურ გაერთიანებასთან სტრატეგიული პარტნიორობა და მაღალი დონის თანამშრომლობა მიმაჩნია, ხოლო საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად ევროკავშირსა და აშშ-ს მივიჩნევ. ამ ურთიერთობების განვითარების ახალი ფაზა უსათუოდ იქნება ევროკავშირში საქართველოს ასოცირებულ წევრად მიღება, რის ოფიციალურ გამოცხადებას ვილნიუსის სამიტზე მოველით.

15. რეგიონული თანამშრომლობა: *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ბევრწილად განსაზღვრავს იმ ფუნქციის მატარებლობას, რომელსაც იგი იძენს სახელმწიფო სუვერენიტეტის ხარისხის ამაღლების კვალდაკვალ. სწორედ აღნიშნული გარემოება აპირობებს მის მიმართ ინტერესს ევროატლანტიკური სტრუქტურების მხრიდან. საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის შემდეგ, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, გარდაუვალია, მისი გეოპოლიტიკური ფუნქცია კიდევ უფრო გაიზრდება და, შესაბამისად, მეზობელი სახელმწიფოების ინტერესი

საქართველოსთან მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებისა კიდევ უფრო ამაღლდება, რაც განმსაზღვრელი იქნება საქართველოს როლისა სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

თავდაცვის ორგანიზაცია ადეკვატურად უნდა პასუხობდეს იმ საფრთხეებს, როლებიც რეალურ საშიშროებას უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მთავარ საფრთხე კი რუსეთის აგრესიული, ნეოიმპერიალისტური პოლიტიკაა. შესაბამისად, თავდაცვის ორგანიზაცია ორიენტირებული უნდა იყოს რუსეთიდან წამოსული სამხედრო აგრესიის იმ ვადით შეკავებაზე, რაც აუცილებელი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობისა და, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან საჭირო დახმარების აღმოჩენისთვის, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მავს მხოლოდ სამხედრო დახმარება. რაც შეეხება საკითხს სამხედრო სამსახურის ფორმის შესახებ, აღვნიშნავ, რომ მოცემულ ეტაპზე მხარს დავუჭერ გაწვევის ორი ძირითადი რეჟიმის - რეკრუტული ანუ აუცილებელი სამხედრო სამსახურისა და თავისუფალი ანუ საკონტრაქტო სამსახურის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე დაბალანსებული თანაარსებობის ფორმას.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

ზემოთ ვთქვი და ახლაც აღვნიშნავ, რომ სრულად ვუჭერ მხარს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითად დებულებებს და, მათ შორის, აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებულ უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს: სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს; დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას; სამხედრო უსაფრთხოებას; ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიულ თანაცხოვრებას; სამოქალაქო კეთილდღეობას, რომელიც თვითკმარი გარემოს შექმნით იქნება უზრუნველყოფილი; მშვიდობას და კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

აკრძალვა, როგორც პოზიტიური შედეგის მიღების მეთოდი, ჩემი სულისკვეთებისთვის მიუღებელია. მირჩევნია შთაგონებით, თუნდაც მნიშვნელოვნად მეტი ძალისხმევის მოშველიებით, მივაღწიო სასურველ შედეგს. აკრძალვა „ბრძოლის ველის“ მიტოვებად და თუკი გაზვიადებულ შეფასებად არ ჩამომერთმევა, კაპიტულაციად ასოცირდება ჩემში. ამიტომ ვთვლი, რომ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა კი არ უნდა აიკრძალოს, არამედ აუცილებელი იდეოლოგიური და საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვით ორსულობის

ხელოვნურ შეწყვეტაზე თავად სუბიექტმა უნდა თქვას უარი. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი სახის თუნდაც იშვიათი გარემოება, როდესაც აბორტი აუცილებელი ხდება.

19. გადასახადები და კრედიტი: *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

თუკი ხელშეკრულებაში აღნიშნული პუნქტი მითითებულია, კრედიტორებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ამოიღონ ფართის ხარჯზე გაცემული თანხა, მაგრამ იმ დათქმით, რომ იგი იქნება უკიდურესი ღონისძიება, რომელსაც კრედიტორმა უნდა მიმართოს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, თუნდაც ვალდებულებების დაფიქსირებული ვადიდან 2-3 წლის შემდგომ. ამასთან, აღვნიშნავ, რომ სამართლებრივი ურთიერთობები კრედიტორსა და კრედიტით მოსარგებლეს შორის მკაცრ რეგლამენტირებას საჭიროებს.

20. მიწის საკუთრება: *როგორ ფიქრობთ, უნდა შეედლოთ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?*

არ მეგულება მსოფლიოში სახელმწიფო, რომელიც ისე უდიერად ეპყრობოდას მიწას და, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეოს, როგორც საქართველო. ამიტომ უპირობოდ უნდა შეწყდეს ქართული მიწის განიავება, კერძოდ, მისი გატანა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღეს საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ ფიგურირებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში და, მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში მოქცევა მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს გარკვეული პერიოდით იმგვარად, რომ მიწის მიმართ მწარმოებლის და, მათ შორის, უცხოელი მწარმოებლის ინტერესი არ შენეღდეს, ამისთვის კი უნდა დაწესდეს და კანონით დარეგულირდეს მიწით სარგებლობის გრძელვადიანი იჯარა, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გონივრულად დააბალანსონ ადგილობრივი და უცხოელი მოიჯარის ინტერესები.